

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

## აგრესია და ჩვენ

ნათია ბრეგაძე

*სსიპ იოსებ ოცხელის სახელობის ქალაქ ქუთაისის №2 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი*

### **რეზიუმე**

*აგრესია თანამედროვე მსოფლიოს უდიდესი პრობლემაა, საინტერესოა აგრესია მხოლოდ ქცევის მახასიათებელი ფორმაა თუ მოიცავს მოტივს, განწყობას და ემოციას?. რა მიმართებაშია ერთმანეთთან „აგრესია“ და „განზრახვა“. სტატიაში განხილულია ბრაზისა და აგრესიის გამოწვევი ფაქტორები. განხილულია ბრაზის ძირითადი სიმპტომები და მისი მართვის სტრატეგიები, სხვადასხვა ცნობილი ფსიქოლოგის მოსაზრებები. სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეთა აგრესიის გამომწვევი მიზეზები და მცირე კვლევა აღნიშნულ საკითხზე.*

**საკვანძო სიტყვები :** აგრესია, კვლევა, თანამედროვე მსოფლიო.

აგრესია თანამედროვე მსოფლიოს უდიდესი პრობლემაა. საინტერესოა აგრესია მხოლოდ ქცევის მახასიათებელი ფორმაა, თუ მოიცავს მოტივს, განწყობას და ემოციას? რა მიმართებაშია ერთმანეთთან „აგრესია“ და „განზრახვა“. დიდი ხანია მიმდინარეობს დავა იმის შესახებ, აგრესიულობა თანდაყოლილი ფენომენია, თუ შექმნილია გამოცდილებით. საკითხი ეხება იმას, ადამიანი თავისი ბუნებით კეთილია თუ ბოროტი. ჯერ კიდევ ჟან ჟაკ რუსო თვლიდა, რომ ადამიანები თავისი ბუნებრივი მდგომარეობით კეთილები არიან, მაგრამ საზოგადოება თავისი აკრძალვებით თავს ახვევს მას აგრესიას და ცოდვებს. ამის საწინააღმდეგოდ ჩამოყალიბდა თეორიები, სადაც უხეშობა და აგრესიულობა ადამიანის ბუნებრივ მდგომარეობადაა მიჩნეული, ხოლო საზოგადოება თავისი კანონებით და წესებით ახდენს ადამიანის ინსტიქტური აგრესიულობის მოთოკვას. ასეთ ცნობილ ინსტიქტ-თეორიას წარმოადგენს ფსიქონალიზური თეორიის ავტორი - ზიგმუნდ ფროიდი.

ზ.ფროიდის აზრით, ადამიანის ფსიქიკურ საფუძვლებში დევს ორი ბაზისური ინსტიქტი, ეროსი და თანატოსი - სიცოცხლისა და სიკვდილის ინსტიქტი. მისი აზრით აგრესიულობის საფუძვლები სიკვდილში უნდა ვეძებოთ, როცა სიკვდილის ინსტიქტი მიმართულია შიგნით, ის ვლინდება თვით-დასჯის, თვით-დარღვევის ფორმით, რომლის უკიდურესი გამოვლინება თვითმკვლელობაა, როცა ეროსის გავლენით სიკვდილის ინსტიქტი მიმართულია გარეთ, ის ვლინდება სხვებისადმი მტრობის, სხვათა დასჯის ან მკვლელობის ფორმით.

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

ფროიდს მიაჩნია, რომ აგრესიის ენერგია რაღაც ფორმით უნდა გამოვლინდეს, ანუ უნდა მოხდეს მისი განტვირთვა, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება მისი დაგროვება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მთელი რიგი ფსიქიკური დარღვევები. ამიტომ მის თეორიას უწოდებენ აგრესიის „ჰიდრავლიკურ თეორიას“, რომელიც დახრულ ქვაბში დუღილის მსგავსად მოქმედებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ აგრესიას არ მიეცა გამოვლენის საშუალება, ადრე თუ გვიან „აფეთქდება“. შესაბამისად, ფროიდის აზრით საზოგადოების მნიშვნელოვანი ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ მოახდინოს ამ ენერგიის რეგულირება, დაეხმაროს ადამიანს, მოახდინოს ამ ენერგიის გადატანა, დამანგრეველი ენერგია მიმართოს საზოგადოებისთვის სასარგებლო ქცევის განხორციელებისაკენ.

ბოლო პერიოდში მსჯელობის საგანი გახდა ტელეეკრანებიდან (კინოფილმებსა თუ სხვა გადაცემებში) მოჭარბებული ძალადობის ჩვენება. ფსიქოლოგები იკვლევდნენ, თუ რა კავშირშია ტელეეკრანებზე ძალადობის ამსახველი სცენების ხშირ ჩვენებასა და მაყურებლების, განსაკუთრებით ახალგაზრდების, აგრესიულობის დონეს შორის. უამრავი კვლევა მიემდვნა ამ საკითხს. ერთ-ერთ ადრეულ კვლევაში ბავშვები უყურებდნენ ფილმს, სადაც მოზრდილი წარმოადგენდა აგრესიულ მოდელს. ფილმში მოზრდილი, რომელიც გარკვეულ საქმიანობას ეწეოდა, გამოხატავდა გამოკვეთილ აგრესიას რეზინის თოჯინას მიმართ. ბავშვების მეორე ჯგუფი ასევე უყურებდა იმავე მოკლე ფილმს, იმ განსხვავებით, რომ ფილმიდან ამოღებული იყო აგრესიის გამომხატველი სცენები. ამის შემდეგ ბავშვებს ტოვებდნენ მარტო და აკვირდებოდნენ მათ ქცევას. რეზინის თოჯინა, რომლის მიმართ ფილმში ხორციელდებოდა აგრესია, მათ ჰქონდათ ოთახში. შედეგმა აჩვენა, რომ ბავშვებმა, რომლებმაც ნახეს ფილმი აგრესიული მოდელით, თვითონაც გამოხატავდნენ აგრესიას რეზინის თოჯინის მიმართ, მაშინ, როცა საკონტროლო ჯგუფის ბავშვები რეზინის თოჯინის მიმართ ინდიფერენტულები იყვნენ. მსგავსი ეფექტი დასტურდება ტელეგადაცემებისა და კომპიუტერული თამაშების მიმართ, სადაც ხდება ძალადობის ჩვენება. სუბიექტები ამგვარი აქტივობების შემდეგ თავადაც გამოხატავდნენ აგრესიას. აღმოჩნდა, რომ ბავშვები, რომლებმაც ნახეს ძალადობის სცენების შემცველი ფილმები, ავლენდნენ გაცილებით მეტ აგრესიას, ვიდრე ის ბავშვები, რომლებმაც ნახეს არა ძალადობრივი ფილმი. ალექსბერდიშევი „აგრესია“ 2010. <https://burusi.wordpress.com/2010/06/24/aggression/>

პედაგოგიური მოღვაწეობის პროცესზე დაკვირვებამ დაგვანახა, რომ მოსწავლეებში აგრესიულობის დონე დღითიდღე იზრდება. აგრესიულობის გამოვლენა მეცნიერებაში თავდაცვის საშუალებად აღიქმება. უნდა ვიფიქროთ, რომ ოჯახური, სასკოლო, თუ გარემო პირობები, მოზარდებზე სერიოზულ სტრესულ ზემოქმედებას ახდენს, რაც, საბოლოო ჯამში მათი აგრესიულობით გამოიხატება.

როგორც აღმოჩნდა, სკოლამდელი ასაკის ბავშვებში აგრესია არც თუ იშვიათი და გასაკვირი მოვლენაა, როგორც ეს შეიძლება გვეგონოს. ფსიქოლოგების აზრით ამის მიზეზი შეიძლება ბევრი რამ იყოს, მათ შორის:

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

- გადაღლილობა- ძილის ნაკლებობა იწვევს ბავშვის გადაღლას, ეს კი საბოლოო ჯამში ადვილი შესაძლებელია მის ქცევებში აგრესიულობის მიზეზი გახდეს.
- შიმშილის შეგრძნება-მშიერი ბავშვი ადვილად ღიზიანდება და შესაძლებელია მისი ქცევები აგრესიულ ქმედებაში ადვილად გადაიზარდოს.
- ზედმეტად ხშირი აკრძალვები - ზედმეტად ხშირი აკრძალვები და მუდმივად „ ეს არ გააკეთო“, „მოშორდი ამას“, „ხელი არ ახლო“, და ა. შ. იწვევს ბავშვის გაღიზიანებას, რადან იგი მუდმივად რაღაცისგან შეზღუდულია, მისთვის დამღწეული და გამაღიზიანებელია , ამას კი ბავშვი ხშირად აგრესიული ქცევით აპროტესტებს.
- კომუნიკაციის პრობლემა-როცა ბავშვი უფროსს ვერ აგებინებს მის სურვილებსა და საჭიროებებს, ეს იწვევს მათ გაღიზიანებას და გადადის აგრესიულ ქმედებაში.
- დამოუკიდებლობის სურვილი-ბავშვებს ძალიან ადრე უჩნდებათ დამოუკიდებლობის სურვილი უნდათ ყველაფერი თვითონ გააკეთონ და, როცა ეს არ გამოსდით, ძალიან ღიზიანდებიან.

ძალადობის შემცველი მულტფილმები, მხატვრული ფილმები სატელევიზიო გადაცემები და კომპიუტერული თამაშები დიდ გავლენას ახდენენ ამ თვალსაზრისით.

/თამუნა გაბისონია „რა იწვევს აგრესიას მცირეწლოვან ბავშვებში და როგორ უნდა მივუდგეთ ამ საკითხს“. 2013, ინტერნეტგაზეთი „პატარა ჟირაფი“./

„მეცნიერული კვლევების შედეგად დადგენილია, რომ ბავშვებისათვის ბრაზის მართვის საუკეთესო სტრატეგიაა მშობლების, მასწავლებლების ჩართულობა, როდესაც ბავშვისთვის უფროსი მისაბამი მაგალითი ხდება და თან ემოციის არააგრესიული ფორმით გამოხატვასაც ასწავლის. მშობლების, მასწავლებლის მიერ განხორციელებული ბრაზის მართვის სტრატეგია წარმატებული რომ იყოს, უნდა გავითავისოთ, რომ ბავშვებსაც ჩვენსავით სჭირდებათ დრო საკუთარი თავის შესაცნობად და იმის გასარკვევად, რომ ბრაზი ისეთივე ბუნებრივი ემოციაა, როგორც სიყვარული, მხიარულება და მოწყენილობა.“/ნინო ლაბარტყავა „როგორ შევამციროთ ბავშვთა აგრესია“, 2012. ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი“. [http://mastsavlebeli.ge/?action=page&p\\_id=19&id=71/](http://mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=19&id=71/)

თუ გვსურს ჩვენი მოსწავლეები არ გამოიჩინონ აგრესიული ქცევით, მათში უნდა აღვზარდოთ საპირისპირო თვისება-ალტრუიზმი (სხვის ადგილას თავის წარმოდგენის უნარი). ფსიქოლოგი ნინო ლაბარტყავა მიიჩნევს, რომ აგრესიის შესამცირებლად უნდა შევიმუშაოთ კონკრეტული რეკომენდაციები, რომლითაც აგრესია მცირედით მაინც შემცირდება. კერძოდ,

- ✓ მნიშვნელოვანია ბავშვის ემპათიის გრძნობის გამოყენება. თუ ბავშვი ვინმეს მიმართ ფიზიკურ აგრესიას ამჟღავნებს, გავამახვილებინოთ ყურადღება ქცევის შედეგზე: „ნანას რომ დაარტყი ეტკინა“ ან „კახას რომ წაართვი ეწყინა“. მნიშვნელოვანია აღნიშნული სტრატეგიის სისტემატური გამოყენება, ოღონდ მას არ უნდა ახლდეს აგრესორის ფიზიკური დასჯა, ამ დროს იფიქრებს ბავშვი, რომ აგრესია ნებადართულია თუ მოწინააღმდეგეზე ძლიერი ხარ.

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

- ✓ კეთილგანწყობილი კლიმატის შექმნა კლასსა და ოჯახში. მეტი აგრესიით გამოირჩევიან ის ბავშვები, რომელიც გარემოსგან საფრთხეს მოელიან. როცა მასწავლებელი ბავშვებს თბილად და მზრუნველობით ექცევა, ბავშვებიც ბაძავენ მას.
- ✓ პროსოციალური ქცევის წახალისება. მნიშვნელოვანია კლასში მოხდეს ამგვარი ქცევის წახალისება(სხვაზე ზრუნვა, როცა არ მოელი პირად გამორჩენას). ამისთვის სასურველია კონკრეტული ინსტრუქციის მიცემა, მაგ. „მინდა, ნატოს დავალების შესრულებაში დაეხმარო“ ან „ნინოს უჭირს ჩანთის ტარება, იქნებ დაეხმაროთ“.

პროსოციალურ თვისებებზე ხაზის გასმა. მაგ. „მსიამოვნებს, რომ ასეთი მზრუნველი ხარ“.

/ნინო ლაბარტყავა „როგორ შევამციროთ ბავშვთა აგრესია“, 2012. ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი“ .[http://mastsavlebeli.ge/?action=page&p\\_id=19&id=71/](http://mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=19&id=71/)

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, გადაწყვიტე შემესწავლა საკითხი ჩემი მოსწავლეების მაგალითზე. კერძოდ, ვთხოვე მოსწავლეებს დახატული ფიგურა გაეფერადებინათ მისთვის სასურველი ფერით. შევარჩიე 189 პირველი და მეორეკლასელი მოსწავლე, 81 გოგონა და 108 ვაჟი. საინტერესოა შედეგი რომელიც განხორციელებულმა აქტივობამ წარმოაჩინა.

წითელი ფერი აირჩია 39 გოგონამ და 30 ვაჟმა.

ყვითელი ფერი აირჩია 21 გოგონამ 16 ვაჟმა.

მწვანე ფერი აირჩია 9 გოგონამ და 15 ვაჟმა.

ლურჯი ფერი აირჩია 5 გოგონამ 28 ვაჟმა.

თეთრი ფერი აირჩია 6 გოგონამ 1 ვაჟმა.

შავი ფერი აირჩია 1 გოგონამ და 18 ვაჟმა.

როგორც ვიცით იმის მიხედვით, თუ რომელ ფერს ირჩევს და ანიჭებს ადამიანი უპირატესობას, შეიძლება მცირედით მაინც განვსაზღვროთ მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობა. რა თქმა უნდა, ამ მონაცემებზე დაყრდნობით ზუსტად ვერ განვსაზღვრავთ ადამიანის სულიერ მდგომარეობას, მაგრამ გარკვეულ ტენდენციებზე მაინც შეიზლება ვისაუბროთ. თეთრი ფერი სინათლის ფერად არის მიჩნეული, ამიტომ ის ჭეშმარიტების სიმბოლო გახლავთ, თეთრი ფერის მოყვარული ადამიანი არის გულწრფელი, გაწონასწორებული, კეთილი და მორჩილი. ითვლება, რომ იმათ, ვინც ამ ფერს ირჩევს, ნაკლები აგრესიულობა ახასიათებს. წითელი ფერი მასტიმულირებელი ფერია, ძლიერი, თუმცა „უხეში“ ენერჯიაა, უბიძგებს ადამიანს აქტიურობისკენ, ბრძოლისკენ, ეს ფერი პროვოცირებასა და ინტრიგებზეც მიუთითებს. ნეგატიური გამოვლენაა სიჯიუტე, სიხისტე და აგრესია. მწვანე ფერი ადამიანის სიმშვიდეზე მეტყველებს, მიუთითებს სამართლიანობაზე მუდმივობაზე და შესაძლოა თვითგაზვიადებაზეც. ლურჯი წარმატების, სიმშვიდის, ძალაუფლების მანიშნებელია. ყვითელი ძლიერ მეხსიერებაზე მიუთითებს, მისი ნეგატიური გამოვლინებაა იმედგაცრუება და განგაშის შეგრძნება. შავი არის ხიფათისა და შიშის ფერი, იგი იწვევს როგორც დაცულობის, ისე შიშის და შფოთის შეგრძნებას.


The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

ჩვენმა დაკვირვებამ აჩვენა, რომ გამოკითხული ბავშვების ყველაზე მეტმა რაოდენობამ, 39 ვაჟმა და 30 გოგნამ წითელი ფერი აირჩია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ გამოკითხულთა 30% -ში აგრესიის დონე მაღალია. ბავშვების ძალზე მცირე რაოდენობამ, მხოლოდ 3,8%-მა აირჩია თეთრი ფერი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენი ბავშვების სიმშვიდე და გაწონასწორებულობა სავალალო მდგომარეობაშია. ასევე, საინტერესოა, რომ ბავშვების, მათ შორის, გოგონების საკმაო რაოდენობამ, ლურჯი ფერი, წარმატების და ძალაუფლების სიმბოლო აირჩია, რასაც ვერ ვიტყვით ვაჟებზე. ვაჟების მხოლოდ 3% გრძნობს თავს წარმატებულად. ლურჯის შემდეგ, ყველაზე მაღალი, დაახლოებით 20% პროცენტი, ყვითელ ფერს აქვს, თითქმის თანაბარი რაოდენობით გოგნებსა და ვაჟებში. ეს კი იმედგაცრუებისა და განგაშის სიმბოლოდ აღიქმება. ასევე მნიშვნელოვანია შავი ფერი, რომელიც ჩვენი ბავშვების დაახლოებით 10% -მა აირჩია. უნდა ვივარაუდოთ, რომ ბავშვების 10%-ს შიშის და შფოთვის შეგრძნება აწუხებს.

დაგვირგვინების შედეგად მივიღეთ შემდეგი სურათი



The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

მარცხენა სვეტი გოგონების რაოდენობას აღნიშნავს, ხოლო მარჯვენა ვაჭებისას ჩვენმა დაკვირვებამ აჩვენა, რომ გამოკითხული ბავშვების ყველაზე მეტმა რაოდენობამ, 39 ვაჭმა და 30 გოგნამ წითელი ფერი აირჩია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ გამოკითხულთა 30% -ში აგრესიის დონე მაღალია. ბავშვების ძალზე მცირე რაოდენობამ, მხოლოდ 3,8%-მა აირჩია თეთრი ფერი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენი ბავშვების სიმშვიდე და გაწონასწორებულობა სავალალო მდგომარეობაშია. ასევე, საინტერესოა, რომ ბავშვების, მათ შორის, გოგონების საკმაო რაოდენობამ, ლურჯი ფერი, წარმატების და ძალაუფლების სიმბოლო აირჩია, რასაც ვერ ვიტყვით ვაჭებზე. ვაჭების მხოლოდ 3% გრძნობს თავს წარმატებულად. ლურჯის შემდეგ, ყველაზე მაღალი, დაახლოებით 20% პროცენტი, ყვითელ ფერს აქვს, თითქმის თანაბარი რაოდენობით გოგნებსა და ვაჭებში. ეს კი იმედგაცრუებისა და განგაშის სიმბოლოდ აღიქმება. ასევე მნიშვნელოვანია შავი ფერი, რომელიც ჩვენი ბავშვების დაახლოებით 10% -მა აირჩია. უნდა ვივარაუდოთ, რომ ბავშვების(ვაჭების) 10%-ს შიშის და შფოთვის შეგრძნება აწუხებს.

ვფიქრობ, ეს მდგომარეობა, ბავშვებში აგრესიის მიზეზები, მათზე გარემომცველი გარემოს ზემოქმედებაში უნდა ვეძებოთ და ვეცადოთ მაქსიმალურად დიდი დრო დავუთმოთ მათთან სიახლოვეს, სულიერ ურთიერთობას, მათი ტკივილისა თუ სიხარულის გაზიარებას, რათა მათ იგრძნონ, რომ მარტონი არ არიან და მათ გვერდით ყოველთვის არიან უფროსები, მშობლები და მასწავლებლები, მათი უფროსი მეგობრები.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. 1.ზ. ფროიდი „ფსიქოლოგია ყოველდღიურ ცხოვრებაში“ ნინო ლაბარტყავა „როგორ შევამციროთ ბავშვთა აგრესია“, 2012. ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი“. [http://mastsavlebeli.ge/?action=page&p\\_id=19&id=71](http://mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=19&id=71)
2. თამუნა გაბისონია „რა იწვევს აგრესიას მცირეწლოვან ბავშვებში და როგორ უნდა მივუდგეთ ამ საკითხს“. 2013, ინტერნეტგაზეთი „პატარა ჟირაფი“.
3. <http://www.mkurnali.ge/fsiqonevrologia/3626-mozardi-da-agresia.html>
4. [http://www.nasponline.org/resources/principals/nasp\\_aggression.pdf](http://www.nasponline.org/resources/principals/nasp_aggression.pdf)
5. დ. უზნაძე „პიროვნების ბიოლოგიური საფუძვლები“
6. ალექსბერდიშვილი „აგრესია“ 2010. <https://burusi.wordpress.com/2010/06/24/agression/>